# 15 ოქტომბერი კომუნისტური შაბათობის დღეა

**როგორც** ცნობილია, ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს 1983 წლის 15 ოქტომბერს კომუნისტური შაბათობის მოწყობასთან დაკავშირებით რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების ინიციატივის საკითხი. ეს შაბათობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის გაშლილი მოძრაობის 25 წლისთავს ეძღვნება. ამასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაში მოწონებულია რესპუბლიკის მშრომელების პატრიოტული ინიციატივა, გამოთქმულია რწმენა, რომ საქართველოს კომუნისტები, კომკავშირელები, ყველა მშრომელი ყველაფერს გააკეთებს, რათა კომუნისტური შაბათობის დღე ჩატარდეს მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე და გადაიქცეს შრომის ნამდვილ სახალხო დღესასწაულად.

კომუნისტურ შაბათობებში ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები. ცხადია, შრომითი კოლექტივები, წარმოება-დაწესებულებები ახლაც გულდაგულ ემზადებიან 15 ოქტომბრისთვის. კომუნისტურ შაბათობაში ჩაებმებიან აგრეთვე რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები, ფიზკულტურელები და სპორტსმენები, რომლებსაც ამ მხრივ უკვე გარკვეული გამოცდილება დაუგროვდათ. თუნდაც უკანასკნელი წლების მანძილზე მოწყობილ კომუნისტურ შაბათობებზე ფიზკულტურულ მუშაკთა ინიციატივით საცხოვრებელ ადგილებში, კულტურისა და დასვენების პარკებში მოეწყო ათეულობით მარტივი ტიპის სპორტული მოედანი, დასუფთავდა და კეთილმოეწყო არსებული სპორტული ბაზები, დასვენების ზონებში დაირგა ათასობით ძირი ხე. ეს კარგი და სასიკეთო ტრადიცია ახლაც უნდა გააგრძელონ ჩვენმა ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა. ყველამ, როგორც ერთმა, უნდა მივიღოთ მონაწილეობა კომუნისტურ შაბათობაში. კარგი იქნება თუ ამ დღისთვის, სამუშაოების დამთავრების შემდეგ, სპორტულ ბაზებზე მოეწყობა მასობრივი ფიზკულტურული ღონისძიებები, სპორტსმენთა საჩვენებელი გამოსვლები, საინტერესო სპორტული პაექრობანი. კომუნისტური შაბათობა კიდევ ერთი დასტური უნდა გახდეს იმისა, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები მჭიდროდ არიან დარაზმული იმ დიდი ამოცანების შესასრულებლად, რასაც პარტია და მთავრობა გვისახავს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 196
(7507)

13 1983 წ.
ოქტომბერი,
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობისთვის

**ვარშავა.** პოლონეთის პრესაში დაიბეჭდა ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

საერთაშორისო ვითარების შეუჩერებელ გამწვავებას იქამდე მივყევართ, რომ მსოფლიოს ემუქრება გამალებული შეიარაღების, ბირთვული ომის საშიშროება, რაც ცივილიზაციის უდავო მოსპობას მოასწავებს.

მილიტარიზმისა და აგრესიის პოლიტიკა ეწინააღმდეგება სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის იდეალებს. სპორტი განვითარდება და ადამიანებს ჯანმრთელობასა და სიხარულს მოუტანს მხოლოდ მშვიდობიან პირობებში. იგი თავისი არსით ახალგაზრდობას შორის მეგობრობასა და ურთიერთგაგებას ემსახურება. პოლონეთის ოლიმპიური კომიტეტი თავის მოვალეობად თვლის მოუწოდოს ყველა ადამიანს, ყველა სპორტსმენსა და საზოგადო მოღვაწეს შეუერთდნენ ახალი რაკეტების განლაგების წინააღმდეგ მებრძოლთა მიერ მშვიდობის შენარჩუნებისთვის გატარებულ ყველა აქციას.

პოლონეთის სპორტულ მოძრაობას, ქვეყანას, რომელმაც ყველაზე მწვავედ განიცადა ომის საშინელებები, განსაკუთრებული უფლება აქვს და მოვალეა დაიცვას მშვიდობა, იზრუნოს იმ საშიშროების თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრება სპორტულ ახალგაზრდობას, მთელ კაცობრიობას.

ჩვენ მოვუწოდებთ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებსა და საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებს, ყველა სპორტულ ორგანიზაციას აქტიურად და გადაჭრით დაუჭირონ მხარი ყოველგვარ მოქმედებას, რომლის მიზანია მშვიდობის დაცვა და ხალხთა შორის თანამშრომლობის განვითარება.

(საკდესი).

● მძლეოსნობა

## იმედის სტარტები

**11 ოქტომბერს** თბილისში ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს პროფსაბჭოს ოლიმპიური მომზადების მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლის ღია პირველობა. სტარტზე მასპინძლებთან ერთად გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის 18 ქალაქის, მათ შორის გეორგიევსკის, ბაქოს, რიგის, ალმა-ათისა და სხვა ქალაქების წარმომადგენლები. ასპარეზობას ესწრებოდნენ საკავშირო სპორტკომიტეტის მძლეოსნობის განყოფილების უფროსის მოადგილე მ. ლიამცევი, საკავშირო პროფკავშირების მძლეოსნობის განყოფილების უფროსი ვ. ვორობიოვი, სხვა სტუმრები. შეჯიბრებას ბევრი ცნობილი მსაჯი ეწვია, მათ შორის საკავშირო კატეგორიის მსაჯი ვ. საველიევი, რომელიც მთავარი მსაჯის მოვალეობას ასრულებს.

საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სკოლის ღია პირველობა უკვე მერვედ ტარდება, მაგრამ შეჯიბრების ორგანიზატორებმა სკოლის დირექტორის დ. იოსელიანის თავკაცობით ამჯერად განსაკუთრებული მონდომება გამოიჩინეს, რათა შეჯიბრებას სადღესასწაულო ხასიათი მისცემოდა.

ამ ასპარეზობას პირობითად იმედის სტარტები შეიძლება ვუწოდოთ, რადგან აქ ძირითადად ჩვენი მძლეოსნობის იმედი — ახალგაზრდები ასპარეზობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მძლეოსნური სეზონი დასასრულს უახლოვდება, შეჯიბრების მონაწილენი დიდი თავგამოდებით იბრძოდნენ, სიხარულს ვერ ფარავდა 60 მეტრზე რბენაში გამარჯვებული რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის I კურსის სტუდენტი **ინგა გავენე:**

— თბილისში უკვე მეორედ ვარ. შარშან სწორედ თქვენი სკოლის ღია პირველობაზე ვცადე ძალა. მაშინ მეორე ადგილი მოვიპოვე. ახლა ამ შეჯიბრებისათვის საგანგებოდ ვემზადებოდი და, როგორც ხედავთ, საწადელს მივაღწიე. მძლეოსნობაში უკვე 6 წელია ვვარჯიშობ და უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩემს სპორტულ ბიოგრაფიაში არც ისე ბევრია მნიშვნელოვანი გამარჯვებები, ამიტომ ეს წარმატება ძალიან მახარებს. მე და ჩემს თანაგუნდელებს ძალიან მოგვწონს თქვენი ქალაქი და ყოველთვის სიამოვნებით ვეწვევით.

მასპინძელთაგან აღსანიშნავია ვ. სანეევის მოწაფე ვ. ობიდკო, რომელმაც გაიმარჯვა სიგრძეზე ხტომაში.

სამწუხაროდ, შეჯიბრებას ჩრდილი მიაყენა ერთმა გარემოებამ: პირველი დღის ასპარეზობის მიწურულს მოულოდნელად ჩამობნელდა. მიუხედავად მსაჯების მოთხოვნისა, სტადიონზე არავინ ფიქრობდა სინათლის ანთებას, ასე რომ, შეჯიბრების მონაწილენი იძულებულნი გახდნენ ასპარეზობა სიბნელეში გაეგრძელებინათ. ისეთ პირობებში, როდესაც არც მონაწილეთა სამკერდე ნომერი და არც წამზომი ჩანდა, მსაჯებმა რის ვაი-ვაგლახით დაასრულეს პაექრობა. საინტერესოა, მათ, ვისაც სინათლის ანთება ევალებოდათ, გადაწყვიტეს ექსპერიმენტი ჩაეტარებინათ, თუ უბრალოდ შეჯიბრება უგულებელყვეს?

გუშინ გაიმართა ამ ასპარეზობის ბოლო სტარტები (დაწვრილებით შეჯიბრების შესახებ და ტექნიკური შედეგები გამოქვეყნდება).

**გ. ჩოჩიშვილი.**

• • •

**სურათებზე:** ჭაბუკთა სიგრძეზე ხტომისა და გოგონათა 60 მ. რბენის მომენტები.

ე. ხუცურაულის ფოტო.

## ვიქტორ სანეევის პრიზზე

**აფხაზეთის** ასსრ-ს მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა 9 ოქტომბერს სოხუმის რესპუბლიკურ სტადიონზე ჩაატარა სამხტომელთა ტრადიციული საკავშირო ტურნირი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ვ. სანეევის პრიზზე. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები და სსრ კავშირის სპორტის ოსტატები.

I ადგილი დამსახურებულად მოიპოვა კრასნოდარელმა სპორტის ოსტატმა ს. აბრამოვმა, მისი შედეგია 16,68 მ. II ადგილზე გავიდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვ. ჩერნიკოვი — 16,48. მესამეზე — ერევნელი სპორტის ოსტატი მ. ბეზრუჩკო — 15,88. IV ადგილი ხვდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ვ. ისაევს — 15, 68, მეხუთე — სპორტის ოსტატ ს. ნარიენის — 15,60.

ტურნირის გამარჯვებულს ს. აბრამოვს გადაეცა სპეციალური პრიზი, პირველი ხარისხის დიპლომი, ფასიანი საჩუქარი და მანდარინის გვირგვინი. მომდევნო ორ ადგილზე გასულებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები და შესაბამისი ხარისხის დიპლომები. IV ადგილზე გასული სპორტსმენი დაჯილდოვდა სპეციალური თასით, რომელზეც ეწერა: „უფრო ძლიერად, სწრაფად და მაღლა". V ადგილზე მყოფ სპორტსმენს გადაეცა ისეთივე თასი, ოღონდ უწარწეროდ.

ასპარეზობის მთავარი მსაჯი გახლდათ საკავშირო კატეგორიის მსაჯი, ვ. სანეევის პირველი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. კერსელიანი.

**გ. შელია,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, დამსახურებული მასწავლებელი, სპორტის ვეტერანი.**

## დაჯილდოება

**რესპუბლიკის** ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში გაწეული ნაყოფიერი და ხანგრძლივი მუშაობისთვის, დაბადების 70 და სპორტში მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით, სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს სპორტული განყოფილების გამგე **შოთა ნიკოლოზის ძე ახვლედიანი** დაჯილდოვდა საქართველოს სპორტკომიტეტის **საპატიო სიგელითა** და სამახსოვრო **დიდი ოქროს მედლით.**

## საქართველოს პროფსაბჭოში

## სპარტაკიადა: შედეგები და პერსპექტივები

—იხ. მე-2 გვ.—

● საქართველოს პროფსაბჭოში

# სპარტაკიადა: შედეგები და პერსპექტივები

**გაიმართა** საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ხელშემწყობი საბჭოს სხდომა. განიხილეს სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე საქართველოს პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტული ორგანიზაციების გამოსვლათა შედეგები. აღინიშნა, რომ საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებებმა, დარგობრივმა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა, ფიზკულტურის კოლექტივებმა და სპორტულმა კლუბებმა კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის VIII სპარტაკიადის მასობრივი და ფინალური შეჯიბრებების ჩატარებაში. წინასწარი მონაცემებით, 4102 ფიზკულტურის კოლექტივიდან 3754-ში ჩატარდა VIII სპარტაკიადის მასობრივი შეჯიბრებები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მილიონამდე მუშამ, მოსამსახურემ, სტუდენტმა, კოლმეურნემ და მათი ოჯახის წევრებმა. შეჯიბრების პერიოდში ფიზკულტურულ სექციებში მომეცადინეთა რაოდენობა თითქმის 90 ათას კაცამდე, ხოლო სპორტსაზოგადოებების წევრთა რიცხვი 500 ათას კაცამდე გაიზარდა, წლის ბოლომდე ეს მაჩვენებელი მაქსიმალურად მოიმატებს.

შეჯიბრების პერიოდში მომზადდა: 21 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 182 — სპორტის ოსტატი, 235,5 ათასი — მასობრივი თანრიგის სპორტსმენი, 274,5 ათასი — მშთ კომპლექსის ნიშნოსანი. ორგანიზებულად ჩატარდა შეჯიბრებები ფიზკულტურის კოლექტივებსა და სპორტკლუბებში: თბილისისა და სოხუმის უნივერსიტეტებში, ქუთაისისა და თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში, ქარხანა „სოხუმხელსაწყოში“. ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში. დიმიტროვის ქარხანაში (სპორტკლუბი „შევარდენი“), სსრ კავშირის 50 წლის თავის სახელობის საწარმოო გაერთიანებაში („უშბა“); სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ქარხანა „მიონით“, თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებაში („სინათლე“), ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანში“, ინდუსტრიულ და მანქანათსაშენებელ ტექნიკუმებში, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობაში, სამტრედიის რაიონის სოფელ საჯავახოს კოლმეურნეობაში, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემოქედის საბჭოთა მეურნეობაში, ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკაში და სხვა.

სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში ფართო გაქანება ჰპოვა მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის ახალმა ფორმებმა „მთელი ბრიგადით — სტარტზე!“, „მთელი ოჯახით — სტადიონზე“, „მშთ ნიშნიდან — ოლიმპიურ მედლამდე“, „მორბენლის დღე“, „მოცურავის დღე“, „ქართული ჭიდაობის დღე“, რომლებშიც მონაწილეობდა სპორტსაზოგადოებების თითქმის ყველა წევრი.

საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებები აქტიურად მონაწილეობდნენ რესპუბლიკური შეჯიბრების „იმედის სტარტებისა“ და „ტყავის ბურთის“ ორგანიზაციასა და ჩატარებაში. წარმატებით ჩატარდა მასობრივი შეჯიბრებები აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, ქუთაისში, ზესტაფონში, თელავში, საგარეჯოში, გორში, კასპში, გუდაუთაში, სამტრედიაში, მახარაძეში, ლანჩხუთში და სხვ.

შეჯიბრების პროგრამაში დამატებით შეიტანეს სპორტის შემდეგი სახეობები: მშთ მრავალჭიდი, მშთ, ქართული ჭიდაობა, ლელობურთი, აკრობატიკა, ცხენოსნობის ეროვნული სახეობები.

პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების სპორტსმენებმა რესპუბლიკის ნაკრები გუნდების შემადგენლობაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის პროგრამის თითქმის ყველა სახეობაში.

საქართველოს სსრ დელეგაციის 463 წარმომადგენლიდან 272 სპორტსმენი საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებებიდან იყო, რაც მონაწილეთა საერთო რაოდენობის 58,2 პროცენტს შეადგენს.

სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის VIII სპარტაკიადაზე საქართველოს სპორტსმენთა მიერ მოპოვებული 7 ოქროს მედლიდან სამი, 28 ვერცხლის მედლიდან — 15, ხოლო 12 „ბრინჯაოდან“ — 6 მოიხვეჭეს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების სპორტსმენებმა, რაც მოპოვებული მედლების 51 პროცენტია.

პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების სპორტსმენებმა 2836 ქულიდან 1708 ქულა მოაგროვეს, რაც რესპუბლიკის სპორტსმენების მიერ მოგროვილი ქულების 50 პროცენტს შეადგენს. წარმატებით გამოვიდნენ „კოლმეურნეობისა“ და „განთიადის“ წარმომადგენლები, რომლებმაც პროფკავშირთა სპორტსმენებს შორის მედლებისა და ქულების უმრავლესობა მოიპოვეს.

თავიანთ შესაძლებლობასთან შედარებით სუსტად იასპარეზეს „ბურევესტნიკის“, „სპარტაკის“, „ლოკომოტივის“, „ვოდნიკის“ სპორტსმენებმა. „ზენიტი“, როგორც დამოუკიდებელი სპორტსაზოგადოება, პირველად მონაწილეობდა და 40 ქულა მოაგროვა. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების სპორტსმენებმა კარგი შედეგები აჩვენეს კლასიკურ ჭიდაობაში, ჭადრაკში, წყალში ხტომაში, ცხენოსნობაში, ხელბურთში (ვაჟები), მხატვრულ ტანვარჯიშში, ველოტრეკში და სინქრონულ ცურვაში.

დიდი წარმატებით იასპარეზა სპორტსაზოგადოება „განთიადის“ წარმომადგენელმა ი. გერასიმოვამ, რომელმაც სამი ოქროს მედალი მოიპოვა. საერთოდ კი მოცურავეები სუსტად გამოვიდნენ.

არადამაკმაყოფილებლად იასპარეზეს სპორტსაზოგადოებების წარმომადგენლებმა მძლეოსნობაში, კრივში, მაგიდის ჩოგბურთში, ბალახის ჰოკეიში, საგზატკეცილო ველორბოლაში, ტყვიის სროლაში, ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობაში, აკადემიურ ნიჩბოსნობაში. ქალთა გუნდებმა ფრენბურთში, კალათბურთში და ხელბურთში.

სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიცაა კალათბურთი (ვაჟები), წყალბურთი და სამბო, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების არც ერთი წარმომადგენელი არ გამოსულა.

კანდიდატთა არასაკმაო მომზადების გამო რესპუბლიკის ნაკრები გუნდები სრულად არ იყო დაკომპლექტებული მძლეოსნობაში, ცურვაში, ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობაში, აკადემიურ ნიჩბოსნობაში, საგზატკეცილო ველორბოლაში, ძალოსნობაში და სხვ. სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების სპორტსმენთა ასპარეზობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ შეცდომები იყო დაშვებული მზადების ყველა ციკლში — როგორც მოსწავლეთა XVI სპარტაკიადაზე და III საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე, ისე სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის VIII სპარტაკიადაზე.

საქართველოს წარმომადგენელთა დაბალი შედეგების მიზეზია სპორტის სხვადასხვა სახეობაში მწვრთნელთა და სპეციალისტთა პროფესიული მომზადების დაბალი დონე, აგრეთვე სასწავლო-სავარჯიშო მუშაობის დაგეგმვასა და ჩატარებაში დაშვებული შეცდომები, რის შედეგადაც წინასწარ დასახული დავალებები ვერ შეასრულეს როგორც გუნდებმა, ისე ცალკეულმა სპორტსმენებმა. ყველა სპორტსმენი არ იყო მომზადებული შეჯიბრებისათვის, ამიტომ ბევრმა ვერ შეძლო მაქსიმალური შედეგის ჩვენება.

რეზერვების მომზადების მხრივ სერიოზული ნაკლოვანებებია ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების, ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების მუშაობაში.

სპორტსაზოგადოებათა მესვეურები სუსტად ხელმძღვანელობენ მწვრთნელ-მასწავლებელთა შემადგენლობის მუშაობას, მათ მიერ კვალიფიკაციის ამაღლებისა და სასწავლო-სავარჯიშო პროცესის თანამედროვე მეთოდიკის ათვისების საქმეს.

ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების ხელმძღვანელებმა შეასუსტეს მომთხოვნელობა სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობის ჩატარებისადმი, ხშირად მწვრთნელები საერთოდ არ ატარებენ მეცადინეობას, არ არჩევენ პერსპექტიულ ახალგაზრდებს, შეთავსებით მუშაობენ სხვა ორგანიზაციებში. ამიტომაა რესპუბლიკის ნაკრები გუნდები რეზერვებს რომ ვერ ღებულობენ. სისტემური კავშირი არ არის განათლების სამინისტროს, პროფტექგანათლების კომიტეტს, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებებსა და უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლებს შორის. ამის გამო პერსპექტიული სპორტსმენები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისა და პროფტექსასწავლებლების დამთავრების შემდეგ ხშირად იფანტებიან და თავს ანებებენ სპორტს. ამ უწყებებს შორის საშეფო მუშაობა არადამაკმაყოფილებელია. აქამდე არ ჩატარებულა სპორტის ცალკეული სახეობების მიხედვით სპეციალიზაცია და კონცენტრაცია პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებებში. ამ მიზნით სათანადოდ არ არის გამოყენებული რესპუბლიკის რეგიონებში არსებული ტრადიციები, სპორტული ბაზები, მწვრთნელ-მასწავლებლები.

საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ხელშემწყობი საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, რომ საჭიროა ჩატარდეს სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაში პროფკავშირთა სპორტსმენების მონაწილეობის შედეგების ღრმა ანალიზი, შემუშავდეს ღონისძიებათა გეგმები, რომლის საფუძველზეც უმოკლეს ვადაში აღმოიფხვრება არსებული ნაკლოვანებები იმ ამოცანათა გადაჭრაში, რომელიც პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებებს დაუსახა „ფიზიკური კულტურის მასობრიობის შემდგომი აღმავლობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 სექტემბრისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1983 წ.) პლენუმის დადგენილებებმა.

იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დავძლიოთ ჩამორჩენა, რა ღონისძიებები უნდა გატარდეს პროფკავშირული და საერთოდ ჩვენი სპორტის შემდგომი მკვეთრი აღმავლობისთვის, თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების თავმჯდომარეებმა, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს და სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ფიზკულტურისა და ტურიზმის სექტორის გამგე **რ. აიწურაძე**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე **რ. გოგლიძე**.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ხელშემწყობი საბჭოს თავმჯდომარემ **თ. მოხაშვილმა**.

---

## მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში

### ● დიდი ყურადღება

**ბერლინი.** გდრ-ის მოქალაქე წელიწადში 300 საათს უთმობს ფიზკულტურასა და სპორტს. სტატისტიკოსები აღნიშნავენ, რომ ქვეყნის მცხოვრებნი საშუალოდ დროის 10 პროცენტს ხარჯავენ აქტიური დასვენების ნაირსახეობებზე.

### ● ფიზკულტურის ინსტიტუტის 10 კურსდამთავრებული — სოციალისტური შრომის გმირი

**სოფია.** ბულგარეთის ფიზკულტურის ინსტიტუტს კარგად იცნობენ ქვეყანაში. სახალხო ხელისუფლების წლებში ამ უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი მიიღო 3437-მა ფიზკულტურის მასწავლებელმა და მწვრთნელმა. ინსტიტუტის მასწავლებლები და სტუდენტები ამაყობენ, რომ ინსტიტუტის 10 კურსდამთავრებული სოციალისტური შრომის გმირია...

ინსტიტუტში ამჟამად 126 უცხოელი სტუდენტი სწავლობს.

### ● 3 მილიონამდე მონაწილე

**ჰანოი.** ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში სულ უფრო პოპულარული ხდება ცურვა. სამ მილიონამდე ვიეტნამელი მონაწილეობდა წლეულს სხვადასხვა შეჯიბრებაში, რომელიც გაიმართა 100 საცურაო აუზში, აგრეთვე სანაპირო წყლებსა (ვიეტნამის სანაპირო ზოლი 3000 კმ-ია) და ქვეყნის მდინარეებზე.

---

● ჭადრაკი

# ფინალში გავიდნენ

**ქუთაისი**, 12 ოქტომბერი (ტელეფონით, „ლელოს“ კორ.). დღეს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში დამთავრდა სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა 43-ე ჩემპიონატის ქუთაისის ნახევარფინალური ტურნირი.

გუშინ შედგა დასკვნითი, XV ტურის შეხვედრები. მაგრამ ჯერ გაეცანით XIII და XIV ტურების შედეგებს. XIII ტურში ფომინამ მოუგო სონს, ბახარევამ — სახატოვას, ხუგაშვილმა — პედკოს, ჩელუშკინამ — ქასოშვილს. ყაიმზე შეთანხმდნენ ხოროვეცი — ლოპატინა, მინოგინა — კულიკოვა, უმანსკაია — ლაგვილავა და ბაგინსკაიტე — პიარნპუუ. XIV ტურში ხუგაშვილმა დაამარცხა ბახარევა, ფომინამ — კულიკოვა, პედკომ — ხოროვეცი, მინოგინამ — ჩელუშკინა. დაზავდნენ პიარნპუუ — უმანსკაია, ლოპატინა — ქასოშვილი, ლაგვილავა — სახატოვა და სონი — ბაგინსკაიტე.

წინა ტურების გადადებულ პარტიებში ფომინამ და კულიკოვამ სძლიეს ხოროვეცს, ხოროვეცმა მოუგო ჩელუშკინას, პიარნპუუმ — ფომინას და ლაგვილავამ — პიარნპუუს. ხუგაშვილი ყაიმზე შეუთანხმდა ქასოშვილსა და მინოგინას.

მძაფრი გამოდგა ბოლო ტურის შეხვედრები. სწორედ მათ უნდა დაესახელებინა ოთხი ფინალისტი. ფომინა — ბაგინსკაიტეს პარტია ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ გადაიდო, მაგრამ საბოლოოდ მეტოქენი დაზავდნენ.

პედკომ მოუგო ქასოშვილს, ხოროვეცმა — ბახარევას, ჩელუშკინამ — კულიკოვას, მინოგინამ — ლოპატინას და სონმა — უმანსკაიას. ყაიმზე შეთანხმდნენ ხუგაშვილი — ლაგვილავა და სახატოვა — პიარნპუუ.

ამრიგად, ტურნირი დამთავრდა. ფინალში გავიდნენ:

I. ტ. ფომინა (ტალინი) — 10, II. კ. ბაგინსკაიტე (ვილნიუსი) — 9,5, III-IV. თ. ხუგაშვილი (თბილისი), რ. პედკო (ჩელიაბინსკი) — 8,5-8,5.

ფინალი გაიმართება 3-28 ნოემბერს ოდესაში.

დანარჩენი ადგილები კი ასე განაწილდა: ჰ. ლაგვილავა (ქუთაისი), ი. სონი (ლვოვი) — 8-8, ც. ქასოშვილი (გორი), თ. მინოგინა (მოსკოვი), ლ. პიარნპუუ (პიარნუ) — 7,5-7,5, ი. ჩელუშკინა (ლვოვი), ე. ხოროვეცი (მინსკი), მ. უმანსკაია (მოსკოვი) — 7-7, ო. ლოპატინა (მოგილიოვი), ს. ბახარევა (მოსკოვი), გ. სახატოვა (ალმა-ათა), ლ. კულიკოვა (ერევანი) — 6-6.

საღამოს ასპარეზობა საზეიმოდ დაიხურა.

**ლ. ფაჩუაშვილი.**

• • •

**სურათზე: ფინალში გასულნი (მარცხნიდან) ტ. ფომინა, კ. ბაგინსკაიტე, თ. ხუგაშვილი და რ. პედკო.**

ავტორის ფოტოები.

## ა. კარპოვის მონაწილეობით

**მსოფლიო** ჩემპიონი ა. კარპოვი ოქტომბერ-ნოემბერში ჰოლანდიასა და ინგლისში ითამაშებს ორ მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურნირში. ერთი მათგანი გუშინ ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში უკვე დაიწყო. აქ სსრ კავშირიდან კარპოვთან ერთად გამოდიან დიდოსტატები რ. ვაჰანიანი, ლ. პოლუგაევსკი და ბ. სპასკი. ეს შეჯიბრება 29 ოქტომბრამდე გასტანს.

ჰოლანდიიდან კარპოვი გაემგზავრება ინგლისში, სადაც 1 ნოემბერს ახალ საერთაშორისო შეჯიბრებაში — მშვიდობის თასის სატელევიზიო გათამაშებაში ჩაებმება. მსოფლიო ჩემპიონი შარშანაც მონაწილეობდა მსგავს გათამაშებაში, რომელიც ჰამბურგში გაიმართა. მაშინ გამარჯვებული სწორედ კარპოვი გამოვიდა.

## თამაშობენ ვეტერანები

**ჭადრაკის** სასახლეში მიმდინარეობს თბილისის ვეტერან მოჭადრაკეთა ტურნირი დედაქალაქის სპორტკომიტეტის პრიზზე. შეჯიბრებაში 14 კაცი მონაწილეობს. მეტოქეებს თითოეული პარტიის სათამაშოდ საათი ეძლევათ.

4 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ გ. ბარბაქაძე, ა. ნიკოლაიშვილი — 3,5-3,5 ქულა, რ. სიგუა და ო. თურქესტანიშვილი — 3-3.

**გ. ფამილიანტი.**

# „დნეპრი" თუ „სპარტაკი"?..

## უმაღლესი ლიგა

**სსრ** კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატი ფინიშის სწორზეა. 22 სექტემბრიდან 14 ოქტომბრამდე გათამაშებაში საკმაოდ ხანგრძლივი შესვენება გვქონდა, ამ სამკვირიანი „პავტაიმის" პერიოდში საბჭოთა ფეხბურთელები მონაწილეობდნენ სხვადასხვა მეტად მნიშვნელოვან შეჯიბრებაში (ევროპის ჩემპიონატისა და ოლიმპიური თამაშების შესარჩევი მატჩები, ევროპის ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასისა და უეფა-ს თასის ოფიციალური საკლუბო შეხვედრები), მაგრამ რაკი ამ საერთაშორისო ტურნირებში მხოლოდ ჩვენი ცალკეული გუნდები და რჩეული მოთამაშეები პირველი და ოლიმპიური ნაკრები კოლექტივების წევრები გამოდიოდნენ, ფაქტიურად ისე მოხდა, რომ სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილე უმაღლესი ლიგის წევრთა ერთი (მცირე) ნაწილი ინტენსიური წვრთნითა და შეჯიბრებებით იყო დაკავებული, მეორე (უმეტესი) ნაწილი კი ჩვეულებრივ მზადებას აწარმოებდა და უმთავრესად სპარინგ-პარტნიორებს ეძებდა სავარჯიშოდ (გაიხსენეთ თბილისის „დინამოსა" და ბაქოს „ნეფთჩის" 10 ოქტომბრის საწვრთნელი მატჩი თბილისში).

საკითხავია: ვინ მოიგო ამ სამკვირიანი შესვენებით — მან, ვინც უმნიშვნელოვანეს, დაძაბულ შეჯიბრებებში მონაწილეობდა, თუ მან, ვინც „საშინაო" მზადებით იყო გართული? რას უნდა მივცეთ უპირატესობა: ყოველდღიური მზადყოფნისა და ინტენსიურ შეჯიბრებათა მაქსიმუმს, თუ შედარებით დასვენების მინიმუმს?

მომხრეები და მოწინააღმდეგეები ერთ მეთოდსაც ჰყავს და მეორესაც, არგუმენტები ორივე მხარეს, ალბათ, საკმარისად იქნება. ასეთ დროს ერთნი დასვენებასა და ძალღონის აღდგენას უნდებიან, მეორენი კი, პირიქით, საბრძოლო ფორმის შენარჩუნებას და სრულყოფას ამჯობინებენ. გააჩნია, კონკრეტულ მომენტში, ვის რა ესაჭიროება, ვის როგორი პირობები შეექმნა გარკვეულ ეტაპზე.

ვის შეუძლია ახლა განსაზღვროს დნეპროპეტროვსკის „დნეპრს" უფრო არგებს ეს განვლილი „ანტრაქტი", როცა იგი არსებითად უმოქმედოდ იმყოფებოდა და მარტოოდენ ვარჯიშებს უნდებოდა, თუ მოსკოვის „სპარტაკს", რომელიც თვითონ უეფა-ს თასზე თამაშობდა, ხოლო მისი საუკეთესო ფეხბურთელები პარალელურად სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შემადგენლობაში გამოდიოდნენ ევროპის ჩემპიონატისა და ოლიმპიური თამაშების შესარჩევ მატჩებში. თუ „დნეპრმა" სექტემბერ-ოქტომბერში ვერ შეინარჩუნა თავისი საუკეთესო საბრძოლო სპორტული ფორმა, ეს მას ჩემპიონის ოქროს მედლების ფასად დაუჯდება, არა და, ვინ იცის, როდის მიაღწევს „დნეპრი", I ლიგის ძველი ბინადარი, ასეთ არნახულ სიმაღლეს?

საბრძოლო მზადება, კალენდარული მატჩები, ყოველთვის იყო და არის ნამდვილი სპორტული ფორმის შენარჩუნების საუკეთესო საშუალება. გამონაკლისი მხოლოდ მაშინ ხდება, როცა გუნდს აუცილებლად ესაჭიროება ძალების აღდგენა და დასვენება, ან თუ დაშავებული ფეხბურთელები საჭიროებენ გამოჯანმრთელებას და ტრავმების მოშუშებას.

რახან ჩვენს წერილში კონკრეტულად მოსკოვის „სპარტაკსა" და დნეპროპეტროვსკის „დნეპრზე" ვლაპარაკობთ, მოდით, მათი ბოლო პერიოდის წმინდა სპორტული რეჟიმი შევადაროთ ერთმანეთს.

მოსკოვის „სპარტაკმა" 10 სექტემბერს საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ჩაატარა ხარკოვის „მეტალისტთან", 14 სექტემბერს — ჰელსინკის ჰიკ-თან (უეფა-ს თასი), 19 სექტემბერს — მოსკოვის „ტორპედოსთან", 22 სექტემბერს ცსკასთან, 28 სექტემბერს — კვლავ ჰიკ-თან, ამას გარდა 5, 9 და 12 ოქტომბერს წამყვანი სპარტაკელი ფეხბურთელები საბერძნეთის, პოლონეთისა და ბულგარეთის გუნდებთან თამაშობდნენ ევროპის ჩემპიონატისა და ოლიმპიური თამაშების პროგრამით.

რას აკეთებდა ამ დროს „დნეპრი"? 10 სექტემბერს მან ითამაშა ვილნიუსის „ჟალგირისთან", 18 სექტემბერს — დონეცკის „შახტიორთან". ეს არის და ეს, „დნეპრის" მთელი აქტივი ამ ბოლო ერთი თვის მანძილზე. მის ფეხბურთელებს სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში, როგორც იცით, მონაწილეობა არ მიუღიათ.

დაქანცული „სპარტაკი" თუ დასვენებული „დნეპრი"? სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად ეს გარემოებაც ითამაშებს მნიშვნელოვან როლს ჩემპიონის წოდებისთვის გაჩაღებული ბრძოლის დარჩენილი 4 ტურის მატჩებში!

პრინციპული დუელი „დნეპრი" — „სპარტაკი" ჩემპიონის წოდებისთვის რომ შედგება, ეს აშკარაა. ვინლა არ იყო წლეულს პირველ ადგილზე საკავშირო ჩემპიონატის მსვლელობისას? ვილნიუსის „ჟალგირისი" ლიდერი გახლდათ პირველი წრის დამთავრების შემდეგ, სხვადასხვა დროს სატურნირო ცხრილს მეთაურობდნენ მინსკის „დინამო", მოსკოვის „ტორპედო", ოდესის „ჩერნომორეცი", ერევნის „არარატი", ლენინგრადის „ზენიტი", მაგრამ ახლა ნათლად გამოიკვეთა ოქროს მედლების ორი უეჭველი პრეტენდენტი — „დნეპრი" და „სპარტაკი". მართალია, არის იმის შესაძლებლობაც, რომ ამ გუნდებს სხვებიც წამოეწიონ, თუნდაც მინსკის „დინამო" და ლენინგრადის „ზენიტი", მაგრამ ეს შესაძლებლობა უფრო თეორიულ სფეროს მიეკუთვნება, ვიდრე პრაქტიკულს. თვითონ განსაჯეთ: „დნეპრსა" და „სპარტაკს" შესაბამისად 43 და 41 ქულა აქვთ, მინსკელებსა და ლენინგრადელებს კი 36-36. გამოდის, რომ ლიდერებმა ყველა დარჩენილი თამაში პირწმინდად უნდა წააგონ, მდევრებმა კი ყველა ტურის შეხვედრა თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრონ და მაშინ ყველას ერთნაირი მდგომარეობა შეექმნება, მაგრამ ამგვარი რამ საკავშირო ჩემპიონატის რანგის ტურნირებში არ ხდება.

მაშ ასე — „დნეპრი" და „სპარტაკი"! ვის როგორი შანსი აქვს ოქროს მოსაპოვებლად დარჩენილ 4 ტურში?

ჩავხედოთ ლიდერთა კალენდარს:

**„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)**

**15. X.** „ჩერნომორეცი" — „დნეპრი"
**23. X.** „ნისტრუ" — „დნეპრი"
**28. X.** „დნეპრი" — „დინამო" მ.
**6. XI.** „დნეპრი" — „სპარტაკი"

**„სპარტაკი" (მოსკოვი)**

**14. X.** „სპარტაკი" — „ჟალგირისი"
**24. X.** „სპარტაკი" — „დინამო" მნ.
**28. X.** „შახტიორი" — „სპარტაკი"
**6. XI.** „დნეპრი" — „სპარტაკი"

ვის უფრო ძნელი მეტოქეები ჰყავს? უდავოდ, „სპარტაკს". მან შინ უნდა მიიღოს „ჟალგირისი" და მინსკის „დინამო" და სტუმრად ითამაშოს „შახტიორთან" და „დნეპრთან", ამასობაში დნეპროპეტროვსკელები თამაშობენ ოდესაში და კიშინიოვში, შინ ღებულობენ მოსკოვის „დინამოს" და „სპარტაკს", მაგრამ ამ ორი გუნდის მეტოქეთა სიძლიერეზე ლაპარაკი ახლა, შეიძლება, არც ემყარებოდეს ობიექტურ მონაცემებს. ის კი ცხადია, რომ „დნეპრს" ორი მეტად მნიშვნელოვანი კოზირი გააჩნია: ჯერ ერთი, 2 ქულის უპირატესობა და, მეორეც, იგი თავის მინდორზე ღებულობს „სპარტაკს", შინ კი, მოგეხსენებათ, საკუთარი კედლებიც დიდი საქმეა... ასე რომ, სპარტაკელებს, ალბათ, იმისი იმედიც აქვთ, ყველა დარჩენილი მატჩი რომ მოიგონ და ბოლოს, 6 ნოემბერს, დნეპროპეტროვსკში დაამარცხონ თავიანთი მთავარი მეტოქე. მაშინ ძალაში შევა სსრ კავშირის ჩემპიონატის დებულების ის პუნქტი, რომელიც დამატებითი, საგანგებო მატჩის ჩატარებას გულისხმობს ჩემპიონობის პრეტენდენტთა შორის, ასეთი რამ კი ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში სულ ორჯერ იყო: **1964 წელი**, „დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 4:1 და **1970 წელი**, ცსკა — „დინამო" (მოსკოვი) 4:3.

შეიძლება მოხდეს ისე, რომ „დნეპრისა" და „სპარტაკის" წლევანდელი დუელიც ასეთივე დამატებითი მატჩით დამთავრდეს. თუ ასე იქნა, ესეც, რა თქმა უნდა, დიდ ინტერესს გამოიწვევს.

პროგნოზები? ვინ მოიპოვებს სსრ კავშირის 1983 წლის ჩემპიონის წოდებას: 10-გზის ჩემპიონი — „სპარტაკი", თუ „დნეპრი", რომელიც უმაღლეს ლიგაში მხოლოდ 1972 წლიდან გამოდის (1979-80 წლების გამოკლებით) და საუკეთესო მიღწევად შეუძლია დებიუტის წელს მოპოვებული მე-6 ადგილი დაიკვეხოს? პირველის კოზირებია ფეხბურთელთა უმაღლესი ტექნიკა, კომბინაციური „საფირმო" თამაში, უდიდესი გამოცდილება, მეორესი — საუკეთესო ფიზიკური მომზადება, სისწრაფე, ენერგია, ენთუზიაზმი...

ერთი სიტყვით, გვეყოლება ახალი ჩემპიონი, ვინ — ვნახოთ!

ბ. ქორქია.

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 18 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი" | 30 | 19 | 5 | 6 | 55-32 | 43 |
| „სპარტ." | 30 | 16 | 9 | 5 | 53-19 | 41 |
| „დინ." მნ. | 30 | 14 | 8 | 8 | 43-31 | 36 |
| „ზენიტი" | 30 | 13 | 10 | 7 | 38-28 | 36 |
| „ჟალგ." | 30 | 13 | 9 | 8 | 34-33 | 35 |
| „ტორპ." მ. | 30 | 12 | 10 | 8 | 34-30 | 34 |
| „დინ." კ. | 30 | 12 | 10 | 8 | 39-31 | 34 |
| „შახტ." | 30 | 15 | 3 | 12 | 46-33 | 33 |
| „ფახტ." | 30 | 12 | 9 | 9 | 34-27 | 33 |
| „ჩერნომ." | 31 | 13 | 5 | 13 | 37-44 | 31 |
| ცსკა | 30 | 10 | 11 | 9 | 35-30 | 30 |
| „მეტალ." | 30 | 11 | 6 | 13 | 37-39 | 28 |
| „არარ." | 31 | 11 | 5 | 15 | 27-42 | 27 |
| „ნეფთჩი" | 30 | 8 | 9 | 13 | 28-36 | 25 |
| „დინ." მ. | 29 | 7 | 10 | 12 | 24-30 | 24 |
| „დინ." თბ. | 29 | 7 | 8 | 14 | 39-46 | 22 |
| „ტორპ." ქ. | 31 | 4 | 11 | 16 | 24-47 | 18 |
| „ნისტრუ" | 31 | 3 | 4 | 24 | 18-67 | 10 |

# ოლიმპიური მატჩი

**გუშინ** მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირისა და ბულგარეთის ოლიმპიელ ფეხბურთელთა შესარჩევი მატჩი.

თამაში დამთავრდა ფრედ 0:0.

## I ლიგა

**11 ოქტომბერს** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის კალენდარული მატჩები.

ლანჩხუთის „გურია" იაროსლავლში შეხვდა ადგილობრივ „შინიკს" და ფრედ დაამთავრა მატჩი — 0:0.

ტურის სხვა შედეგები: „დაუგავა" (რიგა) — „ზარია" (ვოროშილოვგრადი) 4:1, ასკ-„კარპატი" (ლვოვი) — „როტორი" (ვოლგოგრადი) 1:2, „დნეპრი" (მოგილიოვი) — „პამირი" (დუშანბე) 1:0, „ისკრა" (სმოლენსკი) — „ზვეზდა" (ჯიზაკი) 4:4, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — ასკ (დონის როსტოვი) 2:3, „ფაკელი" (ვორონეჟი) — ასკ (ხაბაროვსკი) 4:0, „დინამო" (კიროვი) — „ქაირათი" (ალმა-ათა) 0:3, „კუზბასი" (კემეროვო) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 1:1, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 0:1, „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „კოლოსი" (ნიკოპოლი) 4:2.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ქაირათი" | 38 | 23 | 10 | 5 | 74-32 | 56 |
| ასკ რ. | 37 | 22 | 11 | 4 | 67-30 | 55 |
| „ფაკელი" | 37 | 18 | 11 | 8 | 45-26 | 47 |
| „როტორი" | 37 | 21 | 4 | 12 | 54-40 | 46 |
| „მეტალ." | 37 | 18 | 8 | 11 | 55-37 | 44 |
| „კოლოსი" | 37 | 16 | 12 | 9 | 62-44 | 44 |
| „ტავრია" | 38 | 14 | 11 | 13 | 72-62 | 39 |
| „ყუბანი" | 38 | 14 | 11 | 13 | 54-44 | 39 |
| „კუზბ." | 38 | 13 | 13 | 12 | 46-45 | 38 |
| ასკ „კარ." | 37 | 13 | 12 | 12 | 40-40 | 38 |
| „ზარია" | 37 | 13 | 10 | 14 | 60-57 | 36 |
| „ლოკომ." | 38 | 12 | 12 | 14 | 48-43 | 36 |
| „გურია" | 37 | 15 | 4 | 18 | 44-69 | 34 |
| „დაუგ." | 37 | 13 | 8 | 16 | 53-57 | 34 |
| „პამირი" | 37 | 12 | 10 | 15 | 41-52 | 34 |
| „ისკრა" | 37 | 12 | 8 | 17 | 45-41 | 32 |
| „ზვეზდა" | 37 | 10 | 12 | 15 | 50-56 | 32 |
| „შინიკი" | 37 | 10 | 11 | 16 | 36-65 | 31 |
| „დნეპრი" | 37 | 9 | 13 | 15 | 35-57 | 30 |
| ასკ ხ. | 38 | 9 | 12 | 17 | 27-50 | 30 |
| „ტექსტ." | 37 | 6 | 10 | 21 | 36-70 | 22 |
| „დინამო" | 37 | 5 | 11 | 21 | 27-54 | 21 |

## II ლიგა

**დასასრულს** უახლოვდება II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშება. 11 ოქტომბერს შედგა მორიგი ტურის შეხვედრები.

**„დინამო" (ბათუმი) — „ხაზარი" (ლენქორანი) 6:0 (3:0).**

გადაუღებელი წვიმის მიუხედავად, რომელმაც ძალზე გაართულა თამაშის პირობები, მატჩის სანახავად მრავალი მაყურებელი მოვიდა. მათ იხილეს დინამოელთა ენერგიული, მონდომებული თამაში და დამაჯერებელი გამარჯვება.

„ხაზარის" კარში პირველი ბურთი გაიტანა თოფურიამ, შემდეგ ჩელებაძემ ზუსტად გამოიყენა პენალტი და ტაიმის დასასრულს მანვე მესამედ აიღო სტუმრების კარი.

შესვენების შემდეგ დინამოელებს კვლავ სრული უპირატესობა ეპყრათ, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ქუთაისის „ტორპედოდან" დაბრუნებული გორგილაძე და მატჩის საუკეთესო მოთამაშე თოფურია, რომელმაც კიდევ 3 ბურთი გაიტანა ლენქორანელთა კარში.

**ბ. მურვანიძე.**
**(ტელეფონით, „ლელოს" კორ.).**

# კამპუჩიელი ფეხბურთელები საქართველოში

**საქართველოში** სტუმრად ჩამოვიდა კამპუჩიის ნაკრები, რომელმაც ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრები გამართა რესპუბლიკის ჩემპიონატში მონაწილე კოლექტივებთან.

პირველი მატჩი კამპუჩიის ნაკრებს ჭიათურაში ჰქონდა ადგილობრივ „მაღაროელთან". გამარჯვება მოიპოვეს მასპინძლებმა — 5:2. 3 ბურთი გაიტანა სევასტოპულომ, თითო — ბ. ბრეგვაძემ და ლაშხმა. სტუმართაგან თავი გამოიჩინა სან-სარონმა და შაკ-იენგმა.

შემდეგ კამპუჩიელები ვანში შეხვდნენ „სულორს", წარმატება აქაც მასპინძელთა მხარეს იყო — 3:1. ბურთები გაიტანეს ტკაჩენკომ, გ. ბრეგვაძემ და ნეფარიძემ, კამპუჩიელთაგან — კვლავ სან-სარონმა.

ორივე მატჩი იმსაჯა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა უ. ფურცელაძემ (თბილისი).

# ჩემპიონატები, თასები, ლიგები

### იტალია

IV ტურში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია „რომას" მატჩმა ტურინში „ტორინოსთან". საკმარისია აღინიშნოს, რომ ლიდერს თან ჩაჰყვა 10 ათასი (!) რომაელი გულშემატკივარი. გუნდის მწვრთნელის ნ. ლიედჰოლმის მეუღლეს ვიღაცამ დაურეკა, თუ თქვენმა გუნდმა გაიმარჯვა, ოჯახის ერთ-ერთ წევრს მოგიკლავთო...

თამაში მეტად დაძაბულად წარიმართა. „ტორინოს" თავდამსხმელმა ერნანდესმა მე-10 წუთზე გახსნა ანგარიში. მალე მასპინძელთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი, მაგრამ რომაელმა პრუცომ მიზანს ააცილა. 39-ე წუთზე ერნანდესმა მეორე გოლი გაიტანა, 89-ე წუთზე კი ტურინელმა ზაკარიელიმ საკუთარ კარში ჩაჰრა ბურთი. 2:1 — გაიმარჯვა „ტორინომ". ეს „რომას" პირველი დამარცხებაა. ამით ისარგებლა ტურინის მეორე კლუბმა „იუვენტუსმა", რომში მოუგო „ლაციოს" (1:0) და ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

სხვა მატჩები: „ასკოლი" — „ინტერი" 1:0, „მილანი" — „კატანია" 2:1, „ნაპოლი" — „აველინო" 2:0, „პიზა" — „ჯენოვა" 1:1, „სამპდორია" (გენუა) — „ფიორენტინა" 1:2, „უდინეზე" — „პელასი" (ვერონა) 1:1.

4 ტურის შემდეგ წინაა „იუვენტუსი", რომელსაც 7 ქულა აქვს. 6-6 ქულა მოაგროვეს „რომამ", „ფიორენტინამ" და „ტორინომ".

### ესპანეთი

V ტურში 4 რიგითი გამარჯვების შემდეგ პირველად შეფერხდა მადრიდის „ატლეტიკო", რომელმაც ბილბაოში ფრედ (2:2) ითამაშა ადგილობრივ „ატლეტიკთან". მადრიდის „რეალმა" გამოტოვა შეხვედრა „კადისთან".

დანარჩენი მატჩების შედეგები: „მალაგა" — „ვალენსია" 2:1, „რეალ-ბეტისი" (სევილია) — „რეალ-სოსიედადი" (სან-სებასტიანი) 0:0, „რეალი" (ვალიადოლიდი) — „რეალი" (სარაგოსა) 2:1, „სპორტინგი" (ხიხონი) — „უნიონი" (სალამანკა) 1:1, „რეალი" (მურსია) — „ბარსელონა" 0:0, „მალიორკა" — „სევილია" 2:2, „ესპანიოლი" (ბარსელონა) — „ოსასუნა" (პამპლონა) 2:0.

5 ტურის შემდეგ 9 ქულით ლიდერობს მადრიდის „ატლეტიკო", 7-7 ქულა აქვთ „ბარსელონას", „მალაგას", „რეალს" (მურსია) და „ვალენსიას".

### ინგლისი

ლიდერი — „ვესტ ჰემ იუნაიტედი" VIII ტურში დამარცხდა „სტოკ სიტისთან" — 1:3, თუმცა წამყვანი პოზიცია მაინც შეინარჩუნა. მოულოდნელი იყო „ლივერპულის" წაგება შინ „სანდერლენდთან". ერთადერთი ბურთი 11-მეტრიანით გაიტანა როუელმა.

სხვა მატჩების შედეგები: „ბირმინგემი სიტი" — „ლესტერ სიტი" 2:1, „კოვენტრი სიტი" — „იფსვიჩ თაუნი" 1:2, „ლუტონ თაუნი" — „ასტონ ვილა" 1:0, „ნორვიჩ სიტი" — „მანჩესტერ იუნაიტედი" 3:3, „ნოთს ქაუნთი" — „ევერტონი" 0:1, „ქუინზ პარკ რეინჯერსი" — „არსენალი" 2:0, „საუთჰემპტონი" — „ვულვერჰემპტონ უონდერერსი" 1:0, „ტოტენჰემ ჰოტსპური" — „ნოტინგემ ფორესტი" 2:1, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" — „უოტფორდი" 2:0.

8 ტურის შემდეგ 18 ქულით წინაა „ვესტ ჰემ იუნაიტედი". 17 ქულა მოაგროვა „საუთჰემპტონმა", 16 — „მანჩესტერ იუნაიტედმა", 15 — „იფსვიჩ თაუნმა".

### გფრ

დაწინაურდნენ ძველი მეტოქეები „ჰამბურგი" და „ბაიერნი" (მიუნხენი). IX ტურში „ბაიერნმა" მოუგო მიონხენგლადბახის „ბორუსიას" — 4:0, „ჰამბურგმა" კი ანგარიშით 3:0 სძლია ბრაუნშვაიგის „აინტრაქტს".

დანარჩენი მატჩების შედეგები: „აინტრაქტი" (მაინის ფრანკფურტი) — „ვალდჰოფი" (მანჰაიმი) 1:3, „ნიურნბერგი" — „ბოხუმი" 3:2, „ბაიერი" (ლევერკუზენი) — „არმინია" (ბილეფელდი) 0:0, „ბაიერი" (უერდინგენი) — „ფორტუნა" (დიუსელდორფი) 1:3, „ბორუსია" (დორტმუნდი) — „კიკერსი" (ოფენბახი) 4:1, „კაიზერსლაუტერნი" — „ვერდერი" (ბრემენი) 3:3, „შტუტგარტი" — „კიოლნი" 3:2.

9 ტურის შემდეგ 14-14 ქულით წინ არიან „ბაიერნი" და „ჰამბურგი", 12 ქულა აქვს „შტუტგარტს"



# ფოტოფირს „ახსოვს“



**ორი** თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე მსოფლიოს პირველი ჩემპიონატის მონაწილე მძლეოსნებმა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები გაინაწილეს. მხოლოდ ორი თვე გავიდა „სპორტის დედოფლის“ იმ შესანიშნავი დღესასწაულობის შემდეგ, მაგრამ შემდგომმა დიდმა სპორტულმა ბატალიებმა, რომელთა შორის ძალზე შთამბეჭდავი იყო ჰიდაობის სახელობათა ზეიმი, კარგა შორს გადასწია მოგონებანი მძლეოსანთა პირველი ჩემპიონატის შესახებ.

მაგრამ ყველაფერი კარგად „ახსოვს“ ფოტოფირს, რომელმაც პირუთვნელად დააფიქსირა ჰელსინკის განუმეორებელი სტარტები. საკდესის ფოტოქრონიკის მუშაკებმა სპორტული გაზეთების რედაქციებს ახლახანს დაუგზავნეს მათი სპეციალური ფოტოკორესპონდენტების მიერ გადაღებული ფოტოები, რომელთა ერთ ნაწილს დღეს ვთავაზობთ „ლელოს“ მკითხველს.

... სიმაღლეზე ხტომის საბჭოთა სკოლა კარგა ხანია დამსახურებულად ფლობს მაღალ ავტორიტეტს. ეს ეხება ჭოკით მხტომელებსაც და ამის დასტური გახლდათ საბჭოთა ნაკრების დებიუტანტის **სერგი ბუბკას** წარმატება ჰელსინკში.

ასევე დებიუტანტი გახლდათ ოდესელი მექანიკოსი, 19 წლის **გენადი ავდეენკო,** რომელმაც მსოფლიოს „ასებთან“ ბრძოლაში იმარჯვა და ოქროს მედალიც მოიპოვა სიმაღლეზე ხტომაში — 2,32 მ.

სიმაღლეზე მხტომელ ქალთა შორის საყოველთაო სიმპათიით სარგებლობდა ჩვენი ჩემპიონი **თამარ ბიკოვა.** არც მას გაუწბილებია გულშემატკივრები — ულრიკე მაიფერტთან (გფრ) უშეღავათო ბრძოლაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ჰელსინკში გამარჯვების შემდეგ (201 სმ) თ. ბიკოვამ ორჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი — 203 და 204 სმ.

ჰელსინკში კარგად იასპარეზეს ამერიკელმა მძლეოსნებმა, განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწიეს ზანგმა ათლეტებმა, რომელთა შორის გამოირჩეოდა უნივერსალური **კარლ ლუისი.** მან მოიპოვა 3 „ოქრო“ — 100 მ-ზე (10,07), ესტაფეტაში 4X100-ზე რბენაში და სიგრძეზე ხტომაში (8,55).

ჰელსინკის **ოლიმპიური სტადიონი** ყოველთვის პირთამდე იყო სავსე მაყურებლებით. საინტერესოა, რომ ჩემპიონატისთვის სტადიონზე აიგო დამატებითი ტრიბუნა 5000 მაყურებლისთვის, რომელიც ასევე არ „გამცდარა“.

დიდი იყო გულშემატკივართა სიხარული, როდესაც მათი კერპი გამარჯვებული გამოდიოდა ძალზე დაძაბულ, მართლაც უშეღავათო ბრძოლაში. ეს-ესაა იტალიელმა **ალბერტო კოვამ** პირველმა გადაკვეთა 10000 მ რბენის ფინიში, **ტრიბუნაზე** კი ყიჟინა დასცეს იტალიელმა ტიფოზებმა...

**ა. ბარქაია.**

# კიდევ ერთი ოსტატი

**მთიანი** ყარაბახის ავტონომიური ოლქის ქალაქ სტეპანაკერტში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „უროჟაის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატი მშვილდოსნობაში. სროლის ხაზზე გამოსულმა მოასპარეზეებმა შეასრულეს ოლიმპიური ვარჯიში. სოფლის სპორტსმენთა პაექრობაში წარმატებას მიაღწია „კოლმეურნეს“ წარმომადგენელმა, ბათუმის 76-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლემ ბადრი შარაძემ. მართალია, იგი უძლიერეს ათეულში ვერ მოხვდა, მაგრამ „მ-2“ ვარჯიშში ორჯერ შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. ნიჭიერი მშვილდოსანი სამი წელია საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელთან ამირან შოუასთან ვარჯიშობს.

**რ. კაცობაშვილი.**

# ბგერის სიჩქარესთან ახლოს...

**37 წლის** ინგლისელმა ინჟინერმა რიჩარდ ნობლმა სისწრაფის მსოფლიო რეკორდი დაამყარა ხმელეთზე — 1019,7 კილომეტრი საათში. ადრინდელი მიღწევა (1001,442 კმ სთ) ეკუთვნოდა ამერიკელ ჰარი გაბელიჩს, რომელიც მან 1970 წელს დაამყარა რაკეტისძრავიანი მანქანით — „ცისფერი ალი“.

საერთაშორისო წესების თანახმად, სარეკორდო სისწრაფედ ითვლება ერთი საათის განმავლობაში საზომ მილზე ჩატარებული ორი რბოლის საშუალო მაჩვენებელი. ნობლმა შესაბამისად 1004,7 და 1034,7 კმ სთ განავითარა. მესამე ცდაზე მან უფრო სწრაფად (1046, 07) დაფარა მანძილი, მაგრამ რეკორდი პირველი ორი ცდის მიხედვით აღინუსხა.

მანქანა „ფრასტ-2“, რომლითაც ნობლმა რეკორდი დაამყარა, გარეგნულად სიგარას წააგავს. მისი სიგრძეა 8,2 მეტრი, სიმაღლე მეტრნახევარზე ოდნავ ნაკლები (უკანა სტაბილიზატორების ჩაუთვლელად), წონა — 3,9 ტონა. იგი აღჭურვილია 7,7 ტონა წევის ძალის რეაქტიული ძრავით. საინტერესოა ის, რომ სარეკორდო სისწრაფის განვითარება შესაძლებელი გახდა უპროტექტორო ოთხი ალუმინის ბორბლის გამოყენების შედეგად.

ხმელეთზე სისწრაფის რეკორდზე იეროში ნობლს 1974 წლიდან მიჰქონდა.

(საკდესი).

# „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ მორიგი, 41-ე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 49“-დან:** ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისათვის (25 ბარათი) მოგება 1135 მანეთია, ოთხისათვის (954 ბარათი) — 42, სამისთვის (16809 ბარათი) — 4.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** ხუთი ციფრის გამოცნობისათვის (7 ბარათი) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისათვის (1643 ბარათი) — 172, სამისათვის (61167 ბარათი) — 9.

მოგებული თანხის განაღდება — 19 ოქტომბრიდან 19 ნოემბრის ჩათვლით.

# „ნორჩი დინამოელის“ წარმატება

**საკმაო** ხანია თბილისის „ნორჩი დინამოელის“ (სპორტსკოლის დირექტორი გ. ავალიშვილი) 1969-70 წლებში დაბადებული კალათბურთელები წარმატებით გამოდიან რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში. გამონაკლისს არც გასულ კვირას სტავროპოლში ჩატარებული საკავშირო ტურნირი წარმოადგენდა. შეჯიბრებაში, რომელიც მიეძღვნა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავსა და კონსტიტუციის დღეს, გამოვიდნენ 6 მოკავშირე რესპუბლიკისა და ლენინგრადის სპეციალიზებული სპორტსკოლის კოლექტივები (სულ 8 გუნდი). ასპარეზობა ორ ქვეჯგუფად ჩატარდა. ჩვენმა კალათბურთელებმა წინასწარ შეხვედრაში მოუგეს ვოლჟსკის, კროპოტკინისა და ბაქოს გუნდებს და ფინალში გავიდნენ, სადაც ორი მეტად ძნელი მატჩი ჩაატარეს ფრუნზესა და სტავროპოლის გუნდებთან. ყირგიზეთის წარმომადგენლებთან მატჩის მოგების შემდეგ (67:56), თბილისის „ნორჩი დინამოელები“ (მწვრთნელები ლ. ინწკირველი, ჯ. ხუხაშვილი) შეხვდნენ მასპინძელთა ძლიერ კოლექტივს (აღსანიშნავია, რომ სტავროპოლელთა სასტარტო ხუთეულის საშუალო სიმაღლე 190 სმ-ს აღემატებოდა). როგორც მოსალოდნელი იყო, გადამწყვეტი შეხვედრა დაძაბულად წარიმართა. პერიოდულად 6-8 ქულით წინ გადიოდნენ მასპინძლები, მაგრამ მატჩის დასკვნითი ნაწილი თბილისელებმა დიდი აღმავლობით ჩაატარეს, დაამარცხეს მეტოქე ანგარიშით 68:64 და მოიპოვეს საპატიო თასი.

• • •

**ს უ რ ა თ ზ ე: სტავროპოლის საკავშირო ტურნირში გამარჯვებული თბილისის „ნორჩი დინამოელის“ გუნდი.**

**გ. დოლენჯაშვილის ფოტო.**

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა ძველი ფეხბურთელი, სკკპ წევრი 1943 წლიდან, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი

**ბორის ალექსის ძე კარკოვი**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 07854